

# გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25  
2016 წლის 8 აპრილი

ქ. გორი

**„გორის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის №1 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 12/01/2016; 190040000.35.148.016307) „გორის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 12. ხანძრების, დაუძლეველი ძალის, ბუნებრივი მოვლენების (გარდა განზრახ, ან უხეში გაუფრთხილებლობით წარმოშობილი ზიანის) შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზიანისათვის დაზარალებული ოჯახების დახმარება**

1. დაუძლეველი ძალის, ბუნებრივი მოვლენების ( გარდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით წარმოშობილი ზიანის ) შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზიანის მოცულობის მიხედვით, დაზარალებულ ოჯახებზე გაიცეს ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით .

2. ხანძრების ( გარდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით წარმოშობილი ზიანისა ) შედეგად საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზიანის მოცულობის მიხედვით, დაზარალებულ ოჯახებზე გაიცეს ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით .

3. მოქალაქემ მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს :

ა) განცხადება გამგებლის სახელზე ;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები ;

დ) ხანძრის შემთხვევაში, ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყებიდან და ინფორმაცია ადმინისტრაციული ერთეულიდან;

ე) ბუნებრივი დაუძლეველი მოვლენების შედეგად, საცხოვრებელ ბინებზე ზარალის მიყენების ფაქტის დამადასტურებელი ინფორმაცია ადმინისტრაციული ერთეულიდან, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სამი მეზობლის ხელმოწერა მაინც ( პირადი ნომრის მითითებით ).

4. საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზიანის ოდენობას ადგენს და განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახური ზიანის წარმოშობის დროს არსებული ქონების საბაზრო ღირებულებით .

5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, თანდართული მეზობლების ხელმოწერილი აქტით.

6. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე .



7. ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება იმ მოქალაქეებზეც , რომლებიც არ არიან გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულნი თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობით ფლობენ საცხოვრებელ სახლს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გორის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კონსტანტინე თავზარაშვილი

